ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№11

ქ. თბილისი; 15 იანვარი, 2018 წ. 16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მალხაზ ჭამპურიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი/მერიის ადმინისტრაციის უფროსი - **სერგო ბირკაძე/ვალერი ჭიღლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქონების მართვის განყოფილების უფროსი - **ქვარა ჩართოლანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - **ელენე კაპანაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკადასტრო კოდი N01.18.09.009.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის II მიკრორაიონის კორპუსი N20ა-ში (ნაკვეთი 17/008 საკადასტრო კოდი: N01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულება“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-68 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.
29. ირაკლი ნადირაძის წერილი ფრაქციის წესდებაში ცვლილებისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ცვლილების შესახებ.
30. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მალხაზ ჭამპურიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურებას.

ბატონმა **მალხაზ ჭამპურიძემ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017 წლის 15 დეკემბრის №6-8** დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის **ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების** მიხედვით, დამტკიცდა ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება".

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-98 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების მიღების აუცილებლობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობას შეძლებენ:

- მეორე მსოფლიოს ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში.
- სხვა სახელმწიფო ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები.
- სამხედრო ძალების ვეტერანები.
- მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები.
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები".

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017 წლის 15 დეკემბრის №6-8** დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ახალი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მოქმედი წესისგან განსხვავებულ გარკვეულ ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის საფუძველზე იღებენ ახალ წესს, რომელიც თავისივე შინაარსით იმოქმედებს მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის მოქმედი რედაქციით მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის მისაღებად დაინტერესებული პირი ამ წესის დანართით განსაზღვრული ფორმით განცხადებით მიმართავს ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ რაიონის გამგეობას, რომლის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მისამართიც განსაზღვრულია დაინტერესებული პირის რეგისტრაციის მისამართად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, რომლის ტერიტორიაზეც პირი იმყოფება/თავს აფარებს ფაქტობრივად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მკაფიოდ განისაზღვრა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით რა კრიტერიუმით მიმართავს დაინტერესებული პირი გამგეობას. თუ პირს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო არ გააჩნია საცხოვრებელი უნდა მიმართოს იმ რაიონის გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც არის იგი რეგისტრირებული, შესაბამისად, ახალ წესში შეიცვლება მოქმედი ბუნდოვანი ჩანაწერი უძრავი ქონების მისამართის მითითების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაზუსტდა, თუ, ვის შეიძლება მიეცეს კომპენსაცია. აქამდე, კომპენსაციის მისაღებად საცხოვრებლად ვარგისი ფართი არ უნდა ჰქონოდა ბენეფიციარს. თუმცა, წესში ყველგან არ იყო მითითებული, რომ მხოლოდ თბილისის მასშტაბით არ უნდა ჰქონოდა საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, ზოგიერთი ჩანაწერი არ ზღუდავდა საცხოვრებელი ფართის თბილისის მუნიციპალიტეტის გარეთ ფლობას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით დაზუსტდება, საკითხი იმის თაობაზე, რომ ბენეფიციარს არამხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, არამედ საქართველოს მასშტაბით არ უნდა გააჩნდეს საცხოვრისად ვარგისი ფართი.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ კომპენსაციის გაცემის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრული 24 თვე, არასწორი იყო, რადგან წესი მიბმული უნდა იყოს წლიურ ბიუჯეტზე. შესაბამისად, სადაც ეწერა არაუმეტეს 24 თვის, იქ ჩაიწერა რომ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე მოხდეს პირებისათვის კომპენსაციის გაცემა.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ პირებს, რომლებსაც 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, დამტკიცებული სიის მიხედვით გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა 2018 წელსაც. პირებს, რომლებიც ამ წესის ამოქმედებამდე იღებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციას, ამ წესის ამოქმედების შემდეგ კომპენსაციის გაცემისას ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა გაუგრძელდეთ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად გამგეობებს მიეცემათ უფლება 2018 წლისთვის დაამტკიცონ დროებით საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის მიმღებ პირთა სია და ვადა გაუგრძელდებათ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - ბატონმა **გიორგი ჩაკვეტაძემ** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, შესაბამისი კომპენსაციის მისაღებად როდის არ უნდა უფიქსირდებოდეს დაინტერესებულ პირს ქონების არსებობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპენსაციის მიცემის დროს დაინტერესებულ პირსა და მის ოჯახის წევრს არ უნდა გააჩნდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ფიქსირებული საკუთრების ობიექტი.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ დადგენილების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მითითება უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

> ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად,"

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის მითითებას, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ასევე, აღნიშნა, რომ დადგენილების მე-3 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე."

სხდომის თავმჯდომარის თქმით, **ვინაიდან ახალი წესი 24 თვიან ვადას არ ითვალისწინებს,** წარმოდგენილი დადგენილების პროექტის **მე-6 მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნეს მე-4 პუნქტი.**

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის დანართით წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის **მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

> ,,2. პირებს, რომლებიც ამ წესის ამოქმედებამდე იღებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციას, ამ წესის ამოქმედების შემდეგ კომპენსაციის გაცემის ვადა გაუგრძელდეთ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

ქონების მართვის განყოფილების უფროსმა - **ქვარა ჩართოლანმა** განმარტა, რომ 90-იან წლებში წყნეთის რაიონული გამგეობის მიერ ავარიულ შენობებში მცხოვრებ პირებს, მათი მხრიდან გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ გადაეცათ უძრავი ქონებები, თუმცა

იმის გამო, რომ საკითხს არ მიეცა შემდგომი მსვლელობა, ვერ მოახერხეს ქონების რეგისტრაცია.

ქალბატონმა ქვარამ განმარტა, რომ დაინტერესებულ პირებს თანხის გადახდის ქვითრები აქვთ წარმოდგენილი.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით არსებობს სასამართლო დავები და აღნიშნა, რომ აინტერესებს, სასამართლო დავების ფონზე მაინც ხდება თუ არა უძრავი ქონების გადაცემა.

ქალბატონმა ქვარამ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, იმ პირებს, რომელთაც გადაეცემათ შესაბამისი უძრავი ქონება არ აქვთ სასამართლო დავები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** დამატებით განმარტა, რომ უძრავი ქონების გადაცემა ხდება მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი დოკუმენტაცია და აკმაყოფილებენ ქონების გადაცემისთვის საჭირო ყველა წინაპირობას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკადასტრო კოდი N01.18.09.009.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N115-ში მდებარე უძრავი ქონების

იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის II მიკრორაიონის კორპუსი N20ა-ში (ნაკვეთი 17/008 საკადასტრო კოდი: N01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხდება უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონმა ირაკლიმ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის II მიკრორაიონის კორპუსი N20ა-ში, I სართულზე **36,23 კვ.** მ ფართის მოქ. ფრიდონ ბათირაშვილისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულება“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-68 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცება განაპირობა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დაევალა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყოს საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება და ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გაიწერა რომ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

შესაბამისად, ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, გავრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და იმოქმედებს 2018 წლის 22 თებერვლამდე.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების პროექტი, რომლის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 24 ნოემბრის N1-2701 ბრძანებით რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით, ამოქმედდება 2018 წლის 22 თებერვლიდან.

ასევე, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების დებულებებიც ამოქმედდება 2018 წლის 22 თებერვლიდან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტებში ხდება საშტატო რიცხოვნობის შემცირება, 842 საერთო რიცხოვნობიდან 764-მდე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ - მერიის აპარატში (სამსახური) გაერთიანდა მერის აპარატი (სამსახური), მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) აპარატი (სამსახური), მერის მოადგილეების აპარატები (სამსახური), მერიის ადმინისტრაციის უფროსის აპარატი (სამსახური) და ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამსახურები, რომლებიც გარდაიქმნენ განყოფილებებად. ხოლო, გაუქმდა საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში გაუქმდა აპარატი (განყოფილება) და შეიქმნა რეკლამების და ხაზობრივი ნაგებობების განყოფილება. ასევე, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში აქამდე არსებული ანალიტიკური სამმართველო, შიდა აუდიტის სამმართველო და მონიტორინგის სამმართველო შეიცვალა „დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილებით“, „შიდა აუდიტის განყოფილებითა“ და „ინსპექტირების განყოფილებით“.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურში 4 (ოთხი) განყოფილების ნაცვლად დარჩა 3 (სამი) განყოფილება. ვინაიდან, საგეგმო-საანგარიშგებო და შესყიდვების ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენის განყოფილებები გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდნენ ერთ განყოფილებად. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში ნაცვლად 5 (ხუთი) განყოფილებისა იქნება 4 (ოთხი) განყოფილება. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში იქნება 4 (ოთხი)

განყოფილება. აღსანიშნავია, რომ ხსენებული საქალაქო სამსახური შეიქმნა ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურის საქალაქო სამსახური შეუერთდა განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს. შესაბამისად ახალმა სამსახურმა შეითავსა კულტურის საქალაქო სამსახურის გარკვეული ფუნქციებიც.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ არქიტექტურის სამსახურს გამოეყოფა ურბანული საკითხები. ხოლო არქიტექტურის სამსახური რჩება სერვისებზე ორიენტირებული სტრუქტურა.

ბატონი სერგოს განმარტებით, ურბანული საქალაქო სამსახურის ძირითადი მიმართულებები იქნება: პოლიტიკის შემუშავება და გატარება მუნიციპალური მიმართულებით, ასევე მოახდინოს დაგეგმარება და განახლება ურბანული თვალსაზრისით და ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვა.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს ეყოლება 3 (სამი) მოადგილე. ხოლო, ამავე სამსახურში იქნება 4 (ოთხი) განყოფილება.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღიშნა, რომ გარემოს დაცვის სამსახურის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრა, თბილისის გარემოს დაცვის, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების დაგეგმარების, მუნიციპალური მნიშვნელობის ტყის მართვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება.

ხოლო, შესყიდვების საქალაქო სამსახურში იქნება **3 (სამი) განყოფილება** ნაცვლად **4 (ოთხი) განყოფილებისა და სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით:** ა) საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილება; ბ) სამშენებლო სამუშაოების განყოფილება; გ) საგეგმო-საანგარიშგებო და სავარაუდო ღირებულების დადგენის განყოფილება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გეგმავენ მსხვილი და მუნიციპალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესყიდვები განხორციელდეს მხოლოდ მუნიციპალური საქალქო სამსახურის მიერ.

ბატონმა სერგომ დასძინა, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ეცვლება სახელი და ხდება ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური.

სხდომაზე ბატონმა **სერგო ბირკაძემ** მოითხოვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლიდან 22 თებერვლიდან ასამოქმედებელ დადგენილების პროექტში გარკვეული ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანა, კერძოდ,

დანართი 1-ში, მერიის აპარატის (სამსახურის) სამდივნოში (განყოფილება) მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს გრაფაში მიეთითება 1500-ი ნაცვლად 1900 ლარისა.

ასევე, პროტოკოლის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსის) თანამდებობრივი სარგოს გრაფაში, 2000 ლარის ნაცვლად მიეთითება 2800 ლარი.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ ამავე განყოფილებას ემატება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი, რომლის ხელფასი განისაზღვრება 1900 ლარის ოდენობით, ხოლო ერთი საშტატო ერთეული აკლდება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ცხრილს და 5-ის ნაცვლად განისაზღვრება 4 საშტატო ერთეულით.

ამასთან, „საქმისწარმოების განყოფილების" სახელი იცვლება „საოქმო განყოფილებით"

დანართი 3-ში სწორდება ტექნიკური ხასიათის შეცდომა. კერძოდ, შესაბამის ცხრილში „მონიტორინგის განყოფილება" და „რეკლამების და ხაზობრივი ნაგებობების განყოფილება" შეიცვლიან ადგილებს.

დანართი 12-ში, „საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების" მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი მცირდება 10 საშტატო ერთეულიდან 6-მდე. შესაბამისად, განყოფილების საშტატო ერთეულიც მცირდება 12-დან 8-მდე.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ ასევე, „მარშრუტების დაგეგმვისა და კონტროლის განყოფილებაში" იზრდება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული 6-დან 10-მდე. შესაბამისად, იზრდება განყოფილების საშტატო ერთეული 10-დან 14-მდე. „პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილებაში" მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატს ემატება ერთი საშტატო ერთეული და ნაცვლად 4-ისა განისაზღვრება 5 საშტატო ერთეულით. აგრეთვე, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებაში" მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის სპეციალისტის საშტატო ერთეული მცირდება 3-დან 2 საშტატო ერთეულამდე.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, არქიტექტურის სამსახურიდან ურბანულის გამოყოფის შედეგად როგორ წარიმართება საკადრო პოლიტიკის საკითხები.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, იმატებს თუ არა თანამდებობის პირთა ხელფასები და მიიღებენ თუ არა ისინი პრემიას.

ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ საქალაქო სამსახურის უფროსებსა და შესაბამისი რაიონის გამგებლებს 200 ლარით შეუმცირდათ თანამდებობრივი სარგო, ხოლო მერიის ადმინისტრაციის უფროსს 550 ლარით. ამასთან აღნიშნა, რომ მოქმედი კანონი აღარ ითვალისწინებს სადღესასწაულო და კვარტლურ პრემიებს.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** დასძინა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს. ხოლო, დანამატი, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ხელფასის საერთო ოდენობის არაუმეტეს 20%-ით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დანამატში მოიაზრება დასაქმებულ პირთა ზეგანაკვეთური შრომის შედეგად გასაცემი თანხა, რომელიც მხოლოდ დასაბუთების შემდეგ გაიცემა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - ბატონმა **გიორგი ჩაკვეტაძემ** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, გამგეობის განყოფილების სახელში მოხდება თუ არა „განათლების“ ჩამატება.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი და განყოფილების სახელს დაემატება „განათლება“. ასევე აღნიშნა, რომ საჭირო გახდება შესაბამის დებულებაშიც ცვლილებების განხორციელებაც.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-12 საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

რიგით მე-18 საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

რიგით 23-ე საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დანართი №1-ში (**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების და მერიის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა**) შეცდომით არის მითითებული „პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე), ნაცვლად „პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე)“. ხოლო დანართი №2-ში (**ქალაქ თბილისის**

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა) „ანალიტიკური განყოფილების“ გრაფაში „მთავარი სპეციალისტი“, ნაცვლად უფროსი სპეციალისტისა. შესაბამისად, საჭიროა გასწორდეს შეცდომა და ჩამოყალიბდეს ზემოაღნიშნული სახით.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი აქტის დამტკიცების შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-86 დადგენილების მოქმედების საკითხი, ვინაიდან, ხსენებული ნორმატიული აქტიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოს, ხოლო, დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განკარგულება წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ხოლო დადგენილება - მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, **მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.**

ბატონმა ლევანმა დასძინა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც დაერთვება კომისიის დასკვნას.

რიგით 24-ე საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განკარგულება წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ხოლო დადგენილება - მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არეგულირებს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, საჯარო მოსამსახურეების საშტატო ნუსხას, რანგებსა და კატეგორიას, აგრეთვე, შესაბამის თანამდებობრივ სარგოებს, **სასურველია, განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი მოწესრიგებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების სახით.**

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც დაერთვება კომისიის დასკვნას.

რიგით 25-ე საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტიდან ამოღებულ უნდა იქნას დადგენილების პროექტის **მე-3 მუხლი.** ასევე, დადგენილების პროექტის დანართი 14-თან მიმართებით, კერძოდ, „ურბანული დაგეგმარებისა და *განსახლების განყოფილება*“ ნაცვლად სწორად უნდა მიეთითოს

განყოფილების სახელი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: *„ურბანული დაგეგმარებისა და განახლების განყოფილება“.*

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები (1774-Iს), რომლის თანახმად, 32-ე მუხლს დაემატა ,,ე“ ქვეპუნქტი, რომლითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირად ასევე განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, გარდა ამისა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კოდექსის 38-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტით დაზუსტდა და ახლებურად ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციის ყოველ ცხრა წევრზე უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით ერთი მოადგილე, ამასთანავე განისაზღვრა, რომ ფრაქციის თავმჯდომარეს შეუძლია ჰყავდეს არაუმეტეს სამი მოადგილისა

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დღის წესრიგში დადგა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 44-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

გარდა ამისა, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ასევე ცვლილებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში, 43-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებსა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტში, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურის დეფინიცია ჩაანაცვლა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დეფინიციამ.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში; 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში; 43-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში; 44-ე მუხლში და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ", რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტმა განსაზღვრა, რომ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, პროფესიულ საჯარო მოხელეებს მიენიჭათ კანონით გათვალისწინებული სახელფასო კოეფიციენტი საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა შესაბამისი საშტატო ნუსხით და დადგინდა არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. ხოლო, პროექტის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-112 დადგენილება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს არსებული ბიუჯეტის გაზრდას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რატომ განისაზღვრა სამდივნოს უფროსის თანამდებობრივი სარგო 2800 ლარის ოდენობით და არის თუ არა სამართლიანი აღნიშნული ცვლილება მაშინ, როდესაც საკრებულოს წევრს აქვს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე 2500 ლარის ოდენობით.
ასევე, დაინტერესდა, რამდენად არის კანონთან შესაბამისობაში, ის ფაქტი, რომ მიწის კომისიის თავმჯდომარე ანაზღაურებას იღებს არა მხოლოდ თავმჯდომარის რანგში, არამედ როგორც საკრებულოს წევრი.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს წევრის საქმიანობა არის ანაზღაურების გარეშე. საკრებულოს წევრს საკითხების შესასწავლად და შესაბამისი სამუშაოსთვის გამოყოფილი აქვს ხარჯების ანაზღაურება. ამასთან დასძინა, რომ საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის თანამდებობის პირი და არ აქვს შეუთავსებლობის შემთხვევები შეუძლია იყოს დასაქმებული და მიიღოს სხვა შემოსავალი. შესაბამისად, საკრებულოს წევრს აქვს შესაძლებლობა არ იყოს დასაქმებული მხოლოდ საჯარო სტრუქტურაში. ხოლო, სამდივნოების საქმიანობიდან და მათი შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული თანამდებობრივი სარგო არის ღირსეული ანაზღაურება, რაც უნდა ჰქონდეთ საკრებულოს თანამშრომლებს, რადგან სწორედ მათ მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად ფუნქციონირებს საკრებულო.

ქალბატონმა **ელენე კაპანაძემ** აღნიშნა, რომ მიწის კომისია არის უწყებათაშორისი კომისია. თავმჯდომარე ხელფას იღებს როგორც კომისიის თავმჯდომარე, ხოლო საკრებულოში ის იღებს ხარჯების ანაზღაურებას და შესაბამისად არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის არსებულ კანონმდებლობასთან და ამრიგად სახეზე არ გვაქვს ინტერესთა შეუთავსებლობა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის **ირაკლი ნადირაძის** 2017 წლის 28 დეკემბრის №03-031736227 განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' სხდომის გადაწყვეტილებით შესაბამისი ცვლილება შევიდა ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტში და ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად და ფრაქციის სხდომის გადაწყვეტილებით, ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' თავმჯდომარეს 26 დეკემბრიდან ჰყავს ერთი მოადგილე - **მარინა დათუკიშვილი**

გადაწყვიტეს:

აღნიშნული საკითხი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობის სახით.

მოისმინეს:

30. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 23-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ამავე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრეს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე - **თინათინ ნიბლოშვილი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე